



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/59 **კოდიფიცირებული**
ქ. ბათუმი 09 სექტემბერი, 2020 წ.

ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2010 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წელი 2015-2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ე. წ. I, II, III, IV, V, VI და VII ნაკადებზე ჩარიცხული პირები) წარმართოს შემდეგი განრიგით: *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის N06-01/85 დადგენილებით)*

ა) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყო 2020 წლის 26 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 21 თებერვალს;

ბ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 15 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 22 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 15 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია/აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა - 2021 წლის 22 მარტიდან 19 აპრილის ჩათვლით (2021 წლის აპრილის რეისით საქართველოში ჩამოსული ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 29 აპრილის ჩათვლით); *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 და 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 დადგენილებებით)*

ე) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყო 2021 წლის

19 აპრილს და დასრულდეს 2021 წლის 14 აგვისტოს; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 და 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 დადგენილებებით)*

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 16 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 6 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 და 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 დადგენილებებით)*

ზ) 2020-2021 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2021 წლის 13 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით. სტუდენტების მიერ „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი პროგრამის მოთხოვნების (სულ 360 კრედიტის) 12 სემესტრზე ნაკლებ ვადაში შესრულების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით მიღებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 დადგენილებით)* *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 დადგენილებით)*

1¹. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ჩარიცხული სტუდენტებისათვის (შემდეგში - „VIII ნაკადზე“ ჩარიცხული პირები) წარიმართოს შემდეგი განრიგით: *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის N06-01/85 დადგენილებით)* *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 და 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 დადგენილებებით)*

ა) გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია - 2021 წლის 19 აპრილის ჩათვლით (აპრილის ჩარტერული რეისით საქართველოში ჩამოსული ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 29 აპრილის ჩათვლით);

ბ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს 2021 წლის 19 აპრილს და დასრულდეს 2021 წლის 14 აგვისტოს;

გ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 16 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 6 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;

1². 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი ყველა ნაკადის სტუდენტებისათვის (მათ შორის ინდოეთის რესპუბლიკიდან მომავალი სტუდენტებისთვის) წარიმართოს შემდეგი ფორმატით: *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 დადგენილებით)* *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აპრილის N06-01/36 და 2021 წლის 10 ივნისის N06-01/50 დადგენილებებით)*

ა) ჰიბრიდული ფორმატით, თეორიული ნაწილი (ლექციები) - დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტი - საუნივერსიტეტო სივრცეში და სამედიცინო ბაზებზე - საქართველოში მყოფი სტუდენტებისთვის (ვინც ჩაერთო გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესში 2021 წლის 19 აპრილიდან, გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, მათ შორის 2021 წლის 13-14 მაისს გამოცხადდა ფაკულტეტის დეკანის ოფისში);

ბ) დისტანციური ფორმატით - ინდოეთის რესპუბლიკიდან მომავალი სტუდენტებისთვის (მიუხედავად მოქალაქეობისა), რომლებსაც არ მოუთხოვიათ სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ვერ შემოვიდნენ ქვეყანაში. ამ კატეგორიის სტუდენტების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ბ.1) ბსუ-ში მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები (მატერიალური სახით) გაფორმდეს საქართველოში ჩამოსვლისა და საუნივერსიტეტო სივრცეში გამოცხადებისთანავე, არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;

ბ.2) აქტიური სტუდენტის მქონე სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადახდილი აქვს სწავლის საფასური) და ჩართული არიან სასწავლო პროცესში (პროგრამის სასწავლო კურსებზე) დისტანციურად, ჩაეთვალოთ მიმდინარე სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია გავლილად.

1³. სასწავლო პროცესი წარიმართოს ყოველ დღე, გარდა კვირისა, ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 დადგენილებით)*

1⁴. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისების მეშვეობით მიწოდებული ინსტრუქციით **(არანაკლებ 40 წთ-ით, სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით)**, თანახმად „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანებისა. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 დადგენილებით)*

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში